ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ

გაწეული მუშაობის შესახებ

ანგარიში

თვითმმართველი ერთეულის დასახელება: **ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: **ხათუნა ცერცვაძე**

საკრებულოში დაკავებული თანამდებობის დასახელება

(ასეთის არსებობის შემთხვევაში): **ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო--ფრაქციის თავჯდომარის მოადგილე.**

საკრებულოს კომისი(ებ)ის დასახელება, რომლის (რომელთა) შემადგენლობაშიც

არის საკრებულოს წევრი:

1 .სამანდატო, საპროცედუდო,იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია
2.განათლების,კულტურის,სპორტის,ჯანმრთელობის,ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისია.

საკრებულოს ფრაქციის დასახელება, რომლის წევრიც არის საკრებულოს

წევრი: **ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო**

საკრებულოს წევრის არჩევის წესი (მისი წარმდგენი პოლიტიკური სუბიექტის მითითებით, - პროპორციული წესით არსებული წევრის შემთხვევაში, ან მაჟორიტარული ოლქის მითითებით, - მაჟორიტარული წესით არჩული წევრის შემთხვევაში): **ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო-პროპორციული წესით არჩეული**

საანგარიშო პერიოდი: **01. 10.2022 – 01.10. 2023 წ.**

ანგარიშის ტიპი (მორიგი, რიგგარეშე):- **მორიგი**

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

1. სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა: 13

საკრებულოს წევრის მიერ საკრებულოს სხდომებზე დასწრება: 11

2. სულ საკრებულოს კომისი(ებ)ის სხდომების რაოდენობა, რომლის (რომელთა) შემადგენლობაშიც არის საკრებულოს წევრი: 27

საკრებულოს წევრის მიერ კომისი(ებ)ის სხდომებზე დასწრება: 16

3. სულ დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომების რაოდენობა (ასეთის

არსებობის შემთხვევაში): 2

საკრებულოს წევრის მიერ დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომებზე დასწრება

(ასეთის არსებობის შემთხვევაში): 1

4. სულ საკრებულოს ფრაქციის სხდომების რაოდენობა: 19

საკრებულოს წევრის მიერ საკრებულოს ფრაქციის სხდომებზე დასწრება 19

5. საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხები:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების გაცემის და მიღების წესი. (1 პუნქტი) ცვლილების შეტანა 2023 წლის ბიუჯეტში სოციალური პროგრამების კორექტირებული ვარიანტი.

საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხებიდან მიღებულ იქნა საკრებულოს -

დადგენილება, საკრებულოს 2- განკარგულება 3

6. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები: **მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი: ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წელს განსახორციელებელი პროექტები.**

7. საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა:

8. საკრებულოს წევრის მიერ მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა: 75

საკრებულოს წევრის შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა: 180

9. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები:

მოქალაქეების მიერ წამოჭრილი საკითხები ძირითად დაკავშირებული იყო

ჯანმრთელობის პრობლემებთან, სოციალური სირთულეების დაძლევასთან,

ინფრასტრუქტურული პრობლემების გადაჭრასთან ,სოციალურ დაუცველი პირების დასაქმებასთან დაკავშირებული საკითხები,სოციალურად დაუცველთა ქირის პროგრამაში ჩართვის საკითხები,სახელმწიფო ზრუნვიდან გასული ბენეფიციარების მხარდაჭერის საკითხები.

10. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები):

---შუამდგომლობა გაეწია ჩემს მიერ აღმასრულებელ ორგანოსთან 51 ბენეფიციარს რომელსაც ესაჭიროებოდა სამედიცინო მომსახურება (მაღალტექნოლოგიური, ქირურგიული და ასევე მედიკამენტით უზრუნველყოფა) რომლებიც იქნა დაკმაყოფილებული აღმასრულებელი ორგანოს მიერ. ასევე შუამდგომლობა გაეწია აღმასრულებელი ორგანოსთან 23 სოციალურად დაუცველ მარტოხელას და ისისნი დაკმაყოფილებულნი იყვნენ შეშით.

ვუშუამდგომლე სახელმწიფო ზრუნვიდან გასულ სამ ბენეფიციარს რომლებიც აღმასრულებელი ორგანოს მიერ იყვნენ ჩართული ქირის პროგრამაში.

ვუშუამდგომლე აღმასრულებელ ორგანოსთან სოციალურად დაუცველ 5 ოჯახს ,სამუშაო ჯგუფების მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე მათ გადაეცათ მუნიციპალიტეტის მიერ საამშენებლო ნივთები.

ჩემს მიერ ინფრასტრუქტურული პროექტების მხარდაჭერის შედეგად განახლდა ქალაქ ოზურგეთი ,ინფრასტრუქტურული პროექტების მხარდაჭერით კი მოწესრიგდა ქალაქში არსებული მოზარდებისათვის საშიში ტერიტორიები და გაშენდა პარკები, მოწესრიგდა მაღალსართულიანი ბინები(სამგზავრო ლიფტები)მოწესრიგდა კანალიზაცია, მოწესრიგდა ცენტრალური ქუჩები .ოზურგეთის სინამდვილეში გაჩნდა დამისამართების ახალი აბრები რომელიც გამოხატავს ეთიანი საქართველოს სიმბოლოს.

11. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა:

მონაწილეობა მივიღე საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით საშუალო ვადიანი (2024-2027 წლების) განვითარების დოკუმენტის სამუშაო ჯგუფში.

ჯგუფის წევრებთან ერთად ჩავატარე 4 ფოკუზ ჯგუფის გამოკითხვა და პრიორიტეტების გამოკვეთა.

პროექტი ხორციელდება საკონსულტაციო კომპანია პოლიტიკისა და მართვის კონსალტინგ ჯგუფის (PMCG) ჩართულობა.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს პარლამენტის წევრის , გურიის მაჟორიტარი დეპუტატის ვასილ ჩიგოგიძის მხარდაჭერით დავეხმარე 60 სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ ოჯახს .

საანგარიშო პერიოდშისაქართველოს ,,წითელი ჯვრის „მოხალისეობრივ საქმიანობა.ამ ეგიდით 20 მარტოხელა ხანდაზმულს გადავეცით წითელი ჯვრის მიერ მობილიზებური ჰიგიენური ნივთები და საკვები პროდუქტები .

შემოქმედელი მიტროპოლიტის ლოცვა-კურთხევით ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ჩატარებულ ,, ალილოს“ საორგანიზაციოო საკითხებში ჩართულობა, ორგანიზებას ვუწევდი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში არსებულ საჯარო სამსახურებს, საგანმანათლებლო რესურს-ცენტრს, კერძო ბიზნესის წარმომადგენლებს. ოზურგეთში შეგროვებული პროდუქტი წითელი ჯვრის მოხალისეების დახმარებით დაურიგდა 150 სოციალურად დაუცველ ოჯახს და 20 მარტოხელა ხანდაზმულს.

საანგარიშო პერიოდში მომართა 12 სოციალურად დაუცველმა რომელსაც გაუწიე სოციალური ადვოკატირება და მოხდა მათი ჩართვა დასაქმების პროგრამაში.

-ჩემი შუამდგომლობით სოციალურ საწარმოში დასაქმდა ერთი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი და ორი კანონთან კონფლიქტში მყოფი პირი ისინი ჩართული იყვნენ ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამაში რომელსაც ევროკავშირის დაფინანსებით ახორციელებს ღია საზოგადოების ფონდი (გურიაში პარტნიორი ორგანიზაცია ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი)

შემოქმედის ეპარქიასთან ერთად ერთობრივი პროექტით -დახმარებას ვუწევდი სოციალურ საცხოვრისში მცხოვრები ბენეფიციარებს რომლებსაც რეგულარულად ესაჭიროება დახმარება.

ჩემი მხარდაჭერით მცირე საოჯახო სახლის ბენეფიციარებმა დაამზადეს დეკორატიული

სანთლები, რომლის რეალიზება შეძლეს ბენეფიციარებმა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ ,,საშობაო ბაზრობაზე",ამ საქმიანობით მოხდა მათი რესოციალიზაცია და ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართვა.

-ჩემი შუამდგომლობით სათამაშოების მაღაზია ,,ჭიტას"ხელმძღვანელობამ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საადმზრდელო მე-3 დაწესებულებისთვის და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბენეფიციარებისს ,,დღის ცენტრს"გადასცა საგანმანათლებლო და განმავითარებელი წიგნები და სათამაშოები -.

ჩემი შუამდგომლობით,, მიტოვების რისკის დღის ცენტრის ბენეფიციარების "მშობლებთან მოეწყო პოზიტიური მშობლობის ტრენინგი,,პოზიტიური მშობლობის" პროექტის საშუალებით დღის ცენტრის მართველ ორგანიზაციასთან ერთად დაიგეგმა არაერთი აქტივობა ,რომელიც ხელს შეუწყობდა მათ პოზიტიურ მშობლობას.

ჩემი შუამდგომლობით მუნიციპალიტეტთან ვუშუამდლომლე დღის ცენტრის ბენეფიციარების ოჯახის წევრებს 30 ოჯახს და ისინი საჭიროებიდან გამომდინარე ჩართული იყვნენ მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროგრამებში(ქირის პროგრამაში,ჯანდაცვის პროგრამაში,უზრუნველყოფილნი იყვნენ ზამთრის პერიოდში შეშის მომარაგებით.)

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში საანგარიშო პერიოდში კერძოდ სექტემბრის თვეში სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახებთა მხარდასაჭერად შეიქმნა სტიქიის სალიკვიდაციო შტაბი გახლდით ქალაქ ოზურგეთში სალიკვიდაციო შტაბის წევრი რომელიც მუშაობდა საგანგებო რეჟიმში.

ქ. ფოთში ქალთა კლუბის ინიციირებით ჩატარდა საქველმოქმედო საღამო ,მაია ხოფერიას წიგნების გაყიდვიდან შემოსული თანხა (1000 ლარი) ჩემი და ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს ფრაქციის თავჯდომარის მარიკა ჩხიკვიშვილის შუამდგომლობით აღნიშნული თანხა აქციის ინიციატორებმა დაურიგდა გურიაში სტიქიით დაზარალებულ ოჯახებს. 20 ოჯახს გადაეცა არამალფუჭებადი პროდუქტები და ჰიგიენის საშუალებები.

საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობებით მიღებულ შედეგები:

დეკემბრის თვეში 60 სოციალურად დაუცველ ოჯახმა მიიღო დახმარება (საკვები და სანჰიგიენური პროდუქტები.

საშობაოთ სოციალურად დაუცველმა და მრავალშვილიანმა 150 ოჯახმა მიიღო დახმარება,ასევე 20 ხანდაზმულმა მარტოხელამ მიიღო საკვები პროდუქტები და ჰიგიენული პროდუქტი.

12 სოციალურად დაუცველი ბენეფიციარი ჩართული იქნა დასაქმების პროგრამაში.

ერთი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი და ორი კანონთან კონფლიქტში მყოფი პირი ჩართული იყვნენ ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამაში ,რომელთაგან ერთს სოციალური საწარმო მენეჯერის პოზიციაზე განიხილავს.---

სოციალურ საცხოვრისში მცხოვრებ მარტოხელას და შშმ პირს რეგულარულად ეხმარება სხვადასხვა კერძო პირი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკომზრდელო მე-3 დაწესებულების აღსაზრდელები და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბენეფიციარები საჩუქრებმა გაახარეს ,მათი ფიზიკური და მენტალური განვითარებისთვის აუცილებელი ნივთებით შეძლებენ ჯანმრთელობისათვის უსაფთხო სათამაშოებით და განმავითარებელი სახელმძღანელობით განვითარებას.

13. ინფორმაცია საკრებულოს ნევრის შემდეგი საანგარიშო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტების შესახებ: საშუალო ვადიანი (2024-2027 წლების) დოკუმენტში ასახული პრიორიტეტებზე მუშაობა,სახელმწიფო ზრუნვიდან გასული ბენეფიციარების გასაძლიერებლად მხარდასაჭერ პროგრამებში ჩართვა და 2024 წლის ბიუჯეტში ბენეფიტების ასახვა მათი ფინანსური გაძლიერებისათვის.

ოზურგეთის სინამდვილეში სოციალური საწარმოების შექმნის ხელშეწყობა და არსებული სოციალური საწარმოების მხარაჭერა.

ქირის პროგრამაში ჩართული სოციალურად დაუცველი ოჯახების ლიმიტის გაზრდა

სოციალურად დაუცველი ქალების ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართვა, ძალადობის მსხვერპლი ქალების გაძლირება,განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისთვის ადაპტირებული გარემოს ხელშეწყობა(პარკებში ბაღებში შენობებში)

მარტოხელა ხანდაზმულთა მხარდაჭერა.

ანგარიშის მომზადების თარიღი: 01.10.2022წ.

ანგარიშის წარდგენის თარიღი: 20.10.2023წ.

ხელმოწერა